პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 54 (9830) | პარასკევი, 5 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

მიდის რა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ი. ბ. სტალინის მეთაურობით, სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი სამშობლოს ხალხები. ახორციელებს რა ლენინისეულ [illegible] პარტია განუწყვეტლივ განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს, მუშათა და გლეხთა [illegible] სსრ კავშირის ხალხთა დიად მეგობრობას, დაუცხრომლად ზრუნავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლის, მუშების, გლეხების, საბჭოთა ინტელიგენციის, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებისადმი.

ლენინ—სტალინის უძლეველი დროშით

დღეს ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, მისი საქმის დიდი განმგრძობის, მშრომელთა ბრძენი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების წლისთავს. სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

ი. ბ. სტალინმა მთელი თავისი მგზნებარე სიცოცხლე და რევოლუციური მოღვაწეობა მოახმარა მშრომელებისადმი სამსახურის კეთილშობილურ საქმეს, მათი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავდადებულ ბრძოლას. სტალინის საქმეები საუკუნეებში იცოცხლებს. მადლიერი შთამომავალნი დიდებით მოიხსენიებენ მის უკვდავ სახელს, რომელიც სამართლიანად დგას კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს მოაზროვნეთა — მარქსის, ენგელსის, ლენინის სახელების გვერდით.

თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისშივე ი. ბ. სტალინი გახმოსჭვალა უსაზღვრო რწმენით ლენინის რევოლუციური გენიისადმი, დაუცხრომლად იბრძოდა ლენინიზმის იდეების განხორციელებისათვის.

ი. ბ. სტალინი თავის თავს უწოდებდა ლენინის მოწაფეს. ლენინში იგი ხედავდა კომუნისტური პარტიის გენიალურ შემოქმედსა და ბელადს. ვ. ი. ლენინთან ერთად ი. ბ. სტალინი იბრძოდა ახალი ტიპის პარტიისათვის, განუხრელად და მტკიცედ იცავდა მარქსისტული პარტიის ლენინურ იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, აწრთობდა პარტიას შეურიგებელ ბრძოლაში ლენინიზმის ყველა მტრის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით ი. ბ. სტალინი უდიდეს მუშაობას ეწეოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, რევოლუციისა, რომელმაც დასაბამი მისცა სოციალიზმის ერას კაცობრიობის ისტორიაში. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამშრომელი იყო პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შექმნასა და მშენებლობაში.

სამოქალაქო ომის და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციასთან ბრძოლის წლებში საბჭოების ქვეყნის თავდაცვის მთელ საქმეს სათავეში ედგა ვ. ი. ლენინი. მისი უახლოესი თანაშემწე იყო ი. ბ. სტალინი. პარტია მას გზავნიდა ფრონტის ყველაზე საშიშ და გადამწყვეტ უბნებზე. თავისი რკინისებური ნებისყოფით იგი მამაცურად ასრულებდა პარტიის დავალებებს, დიდი ლენინის მითითებებს.

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში ი. ბ. სტალინი გამოდის როგორც შეუდრეკელი ლენინელი პარტიისა და ქვეყნისადმი ხელმძღვანელობაში, სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობასა და განმტკიცებაში.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტიისა და ხალხის მტრები — ტროცკისტები, ბუხარინელები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები ცდილობდნენ ჩაეშალათ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა, აღედგინათ კაპიტალიზმი. ჩვენმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, გაანადგურა გამცემლები და მოღალატეები, დაიცვა ლენინიზმი და აღო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მტკიცე კურსი. ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ჩვენს პარტიას ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მიჰყავდა საბჭოთა ხალხი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ლენინური გეგმის განხორციელების გზით.

ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე და მისი დიადი საქმის ღირსეული განმგრძობი ი. ბ. სტალინი მოუწოდებდა კომუნისტებს და ყველა საბჭოთა ადამიანს შეესწავლათ ვ. ი. ლენინის შრომები, შეესრულებინათ მისი მოძღვრება, ეცხოვრნათ, ემუშავნათ, ებრძოლნათ ლენინურად.

ასრულებდა რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, კომუნისტურმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, ღირსეულად განახორციელა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკა, მოახდინა კულტურული რევოლუცია და უზრუნველყო ჩვენს სამშობლოში სოციალიზმის აშენება. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვება ლენინის ბრძნული ანდერძის შესრულების, კომუნისტური პარტიის გიგანტური მაორგანიზებელი და წარმმართველი მოღვაწეობის დიდი შედეგია, მშრომელთა მასების შემოქმედებითი, გმირული შრომის ნაყოფია.

განაზოგადა რა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება და თანამედროვე საერთაშორისო განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილება, ი. ბ. სტალინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად და მთელ რიგ საკითხებში გაამდიდრა რევოლუციური თეორია ახალი დებულებებით. ი. ბ. სტალინი დაუცხრომლად შრომობდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. იგი მიგვითითებდა, რომ სოციალისტური სახელმწიფოს სიმტკიცე და ძლიერება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცისა და უძლეველობის წყაროა მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გვასწავლიდნენ, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპია. კომუნისტურ პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია დაუცხრომლად განამტკიცოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი — ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების საფუძველი.

საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია ხალხთა მეგობრობა. ეროვნულ საკითხში ლენინის საპროგრამო დებულებებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა ი. ბ. სტალინის შრომებში, პარტიის გადაწყვეტილებებში. ახორციელებს რა ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი შეაკავშირა ერთ დიად, უძლეველ ძმურ ოჯახად. პარტია თვალსაჩინოდ უფრთხილდება საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას, დაუღალავად ზრდის მშრომელებს მეგობრობის, ძმობის, ურთიერთდახმარების იდეოლოგიის სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ჩვენი პარტია მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეს. დიდ სამამულო ომში კომუნისტური პარტია გამოვიდა როგორც საბჭოთა ხალხის და მისი შეიარაღებული ძალების შთამაგონებელი და მებრძოლი ხელმძღვანელი. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სათავეში დაყენებულ იქნა ლენინის საქმის დიდი განმგრძობი ი. ბ. სტალინი.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა დიდი სტალინი, მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება ფაშიზმზე მეორე მსოფლიო ომში და ამით გადაჭრით შეასუსტა საბჭოთა კავშირის გარეშე მტრების ძალები, გამოიყვანა ჩვენი სამშობლო საერთაშორისო იზოლაციის მდგომარეობიდან და უზრუნველყო მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა უძლეველი ბანაკის შექმნა, მთელი თავისი დაუშრეტელი ძალებით განავითარა კომუნიზმის მშენებლობა.

ლენინის გენიის უკვდავ ქმნილებებში მოცემულია ძირითადი პრინციპული, თეორიული მითითებანი კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის გზების შესახებ. კომუნიზმის მშენებლობაში ჩვენი პარტია ემყარება ლენინის ამ პროგრამულ დებულებებს, რომლებმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა ი. ბ. სტალინის შრომებსა და პარტიის გადაწყვეტილებებში.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ თავისი სიცოცხლის დასასრულამდე სტალინი რჩებოდა პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისა და უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში მშვიდობის ყველა მომხრეთა მჭიდროდ დარაზმვის საბრძოლო პოსტზე.

თავისი ბელადის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი ქვეყნის მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ ლენინიზმის დროშის ქვეშ მმობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. მას შემდეგ, რაც დიდმა სტალინმა თავისი სახელოვანი სიცოცხლე დასრულა, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა ახალი ძალით ცხადყვეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის საქმისადმი, თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება წარმატებით აშენონ კომუნიზმი.

მთელ თავის საქმიანობაში კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი მოძღვრებით, ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის უკვდავი შემქმნელისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბრძნული ანდერძით.

კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა და მტკიცედ ახორციელებს მას. საბჭოთა ადამიანები წარმატებით ასრულებენ პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, დაუცხრომლად იბრძვიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, პარტიისა და მთავრობის შემდგომ დადგენილებათა განხორციელებისათვის.

კომუნისტური პარტია განამტკიცებს თავისი რიგების ერთიანობას და ბრძოლისუნარიანობას, ავითარებს შინაპარტიულ დემოკრატიას, თვითკრიტიკას და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკას, განუხრელად ხელმძღვანელობს პარტიული ცხოვრების ნორმებით და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებით, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა. კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის კოლექტიური გამოცდილება და კოლექტიური სიბრძნე, რომელიც დამყარებულია მარქს — ენგელს — ლენინ—სტალინის თეორიის მეცნიერულ საფუძვლებზე, ხალხის მასების დაუშრეტელ შემოქმედების ენერგიაზე, უზრუნველყოფს პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის სისწორეს, ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა ხალხი მტკიცედ უჭერს მხარს კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომ აყვავებას, სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისა და ძალის ყოველნაირად განმტკიცებას და ახალ წარმატებებს მის ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ჩვენი ხალხის მჭიდრო ერთიანობის ახალი დადასტურებაა ის მძლავრი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა, რომელსაც განიცდის მთელი ჩვენი ქვეყანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ამ დღეებში.

ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!

ი. ბ. სტალინის ხსოვნის აღსანიშნავად

საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად აღნიშნავენ ლენინის საქმის დიდი განმგრძობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების წლისთავს.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატსა და სხვა საწარმოებში, საქართველოს დედაქალაქის მშენებლობებზე, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, აგიტპუნქტებში ეწყობა საუბრები ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის წარმატებათა შესახებ.

ასობით აგიტატორი აწყობს საუბრებს ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების საწარმოებსა და დაწესებულებებში.

დიდი ინტერესით ეცნობიან მშრომელები ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს. ბევრი მნახველია ამ დღეებში ავლაბრის ყოფილ არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში.

განუწყვეტლივ მოდის მნახველთა ნაკადი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. გუშინ აქ იყო 500-მდე კაცი. დიდი ინტერესით გაეცნენ ისინი აქ თავმოყრილ მრავალ დოკუმენტსა და მასალას, რომლებიც ასახავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის გენიალური ლენინისა და მისი მოწაფისა და საქმის განმგრძობის დიდი სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

ასობით მშრომელი აწყობს ამ დღეებში ექსკურსიებს ბათუმის, ჭიათურის ისტორიულ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია ი. ბ. სტალინის რევოლუციურ მუშაობასთან. მრავალი ექსკურსია მიდის რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის სანახავად გორში.

თბილისის კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში, საქართველოს დედაქალაქის მთელ რიგ კლუბებსა და კულტურის სახლებში გაიხსნა ი. ბ. სტალინისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და მასალების გამოფენა.

(საქდესი).

ი. ბ. სტალინის ჭიათურის სახლ-მუზეუმში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურაში დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის ქუჩაა. ამ ქუჩაზეა ორსართულიანი ისტორიული სახლი. ბევრი ღირსსახსოვარი და შესანიშნავი ამბის მოწმეა ეს პატარა სახლი. აქ პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ი. ბ. სტალინი. ამ სახლში მახ ჩამოაყალიბა ბოლშევიკური კომიტეტი, მოაწყო არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, საიდანაც ვრცელდებოდა მგზნებარე, თავისუფლებისაკენ მომწოდებელი პროკლამაციები.

1945 წელს მოხდა ამ სახლის რესტავრაცია. იქ მოწყობილია ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

აქ მოდიან ადამიანები ჩვენი ქვეყნის შორეული კუთხეებიდან — ვლადივოსტოკიდან და ურალიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, კიევიდან და მინსკიდან, დონბასიდან და მურმანსკიდან, ბაქოდან და ერევნიდან, ალმა-ატიდან და ტაშკენტიდან. ისინი გულდასმით ეცნობიან ი. ბ. სტალინის მოღვაწეობის ჭიათურის პერიოდს, გულშიჩამწვდომ სიტყვებს წერენ შთაბეჭდილებათა წიგნში.

განსაკუთრებით ბევრი ექსკურსანტი და დამთვალიერებელი მოდის ამ სახლში ახლა, მშობლიური სტალინის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით. მოდიან მაღაროელები და კოლმეურნეები, ინტელიგენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა — პიონერები და კომკავშირელები.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში აგიტატორმა თინა ნადირაძემ აქ მოიყვანა დიასახლისები, რომლებსაც მიმზიდველად ესაუბრნენ ი. ბ. სტალინის რევოლუციურ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. გამოფენის დამთვალიერებელთა ერთ ჯგუფს მოჰყვა ძველი კომუნისტი ა. გოცაძე. მან მოიგონა ჭიათურელ მაღაროელთა რევოლუციური წარსული, დიდი სტალინის დამსახურება მუშათა განმათავისუფლებელ ბრძოლაში. სახლ-მუზეუმში გამოფენილი მასალები მნახველებს ახალი საბრძოლო საქმეებისათვის რაზმავს.

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები ქართულ ენაზე

გენიალური ლენინის უკვდავი საქმის გახმგრძობის დიდი სტალინის ნაწარმოებები მილიონობით ცალი ტირაჟით არის გამოცემული ქართულ ენაზე. ი. ბ. სტალინის ნაშრომების ქართულ ენაზე ბეჭდვა პირველად ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათი წლის წინათ დაიწყო, როცა ახალგაზრდა სტალინი რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ი. ბ. სტალინის სტატიები ქართულ ბოლშევიკურ პრესაში იბეჭდებოდა 1904 წლიდან. პროკლამაციებისა და სტატიების ბეჭდვასთან ერთად ამავე ხანებში ქართულ ენაზე იბეჭდება და კრცელდება ი. ბ. სტალინის ბროშურები. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გამოცემით 1905 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“. ამას მოჰყვა იმავე გამომცემლობის მიერ 1906 წელს გამოშვებული ბროშურა „ორი შეჯახება“ და სხვ.

პირველი ლეგალური გამოცემა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებისა განხორციელდა თბილისში 1921 წელს. სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა წიგნი — „კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, რომელიც წარმოადგენს 1921 წლის 6 ივლისს გაკეთებულ მოხსენებას საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე.

1921 წლიდან 1954 წლის პირველ მარტამდე ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები ქართულ ენაზე გამოვიდა 278 სახელწოდებით 8.060.650 საერთო ტირაჟით, მათ შორის გამოცემულია ი. ბ. სტალინის თხზულებათა სრული კრებული 13 ტომი (პირველი ორი ტომი მეორედ დაიბეჭდა 1954 წელს). ამას გარდა გამოცემულია სტატიების კრებულები 60 სახელწოდებით მილიონზე მეტი საერთო ტირაჟით და ცალკეული გამოცემები 191 სახელწოდებით 6.000.000-მდე საერთო ტირაჟით.

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა ზოგიერთი კრებული ქართულ ენაზე რამდენჯერმე იქნა გამოცემული მასობრივი ტირაჟით. მაგალითად, „ლენინიზმის საკითხები“ გამოვიდა 8-ჯერ 173 ათასი საერთო ტირაჟით, „ლენინის შესახებ“ — 6-ჯერ 100 ათასი ტირაჟით, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ — 6-ჯერ 140 ათასი ტირაჟით და სხვ.

ამას გარდა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები საქართველოში გამოცემულია რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე. 1921 წლიდან დღემდე რუსულ ენაზე გამოცემულია 44 სახელწოდების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი ნახევარ მილიონს აღემატება. ამაკე პერიოდში აფხაზურ ენაზე დაბეჭდილია 42 სახელწოდების წიგნი 100.000-მდე ტირაჟით, ოსურ ენაზე — 30 სახელწოდებისა 71.500 ტირაჟით, სომხურ ენაზე — 21 სახელწოდებისა 111.000 ტირაჟით, აზერბაიჯანულ ენაზე — 16 სახელწოდებისა 112.500 ტირაჟით.

ლენინის საქმის დიდი განმგრძობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი წლის წინათ, 1953 წლის 5 მარტს, გარდაიცვალა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი — გენიალური ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი, მისი საქმის დიდი განმგრძობი.

ი. ბ. სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი ქვეყნის ხალხებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. მან მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ექსპლოატატორთა უღლისაგან მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა განთავისუფლების საქმეს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეს. ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა აღმფრთოვანებელი მაგალითია ხალხისადმი სამსახურისა და გმირული, თავდადებული ბრძოლისა მშრომელი მასების ინტერესებისათვის, მათი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, როცა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა პირველი ნაბიჯები რუსეთში რევოლუციური მარქსისტული პარტიის მშენებლობაში, ი. ბ. სტალინი განიმსჭვალა უსაზღვრო რწმენით ლენინის რევოლუციური გენიისადმი და დაადგა ლენინური გზას. იგი დაუცხრომლად იბრძოდა ლენინიზმის იდეების განხორციელებისათვის. „რაც მე შემეხება, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — მე მხოლოდ ლენინის მოწაფე ვარ და ჩემი ცხოვრების მიზანია ვიყო მისი ღირსეული მოწაფე“ (თხზ., ტ. 13, გვ. 110).

ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მოძღვრებით, ი. ბ. სტალინი ოპორტუნისტთა ხელყოფისაგან იცავდა პარტიის ლენინურ იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, რაზმავდა პარტიულ მასებს ლენინიზმის საბრძოლო დროშის ქვეშ.

ჩვენმა პარტიამ, რომელიც შექმნილი და გამოჭედილია რევოლუციის გენიის — ლენინის მიერ, განვლო გმირული ბრძოლის, მძიმე განსაცდელისა და მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი გზა.

მოაწყო რა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის საბრძოლო კავშირი, კომუნისტურმა პარტიამ კაპიტალიზმის გენიის — ვ. ი. ლენინის მეთაურობით უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაპიტალიზმის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნიზმის გამარჯვების ერას.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კომუნისტური პარტია მმართველი პარტია, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა გახდა. მის წინაშე მთელი სიმწვავით წამოიჭრა ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და სოციალიზმის აშენების ურთულესი ამოცანები. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინის უახლოესი თანაშემწე იყო მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობასა და განმტკიცებაში. სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის მრისხანე წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს გზავნიდნენ ფრონტის ყველაზე საშიშ უბნებზე. თავისი რკინისებური ნებისყოფითა და მასების დარაზმვის უნარით, თავისი მხედართმთავრული ოსტატობით ი. ბ. სტალინი თანმიმდევრულად აღწევდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა განადგურების ლენინური გეგმის განხორციელებას.

პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ გაეერთიანებინა საბჭოთა რესპუბლიკები ერთ საკავშირო სახელმწიფოდ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. ამ ისტორიული ამოცანის განხორციელებას ბევრი შრომა მოახმარა ი. ბ. სტალინმა. სსრ კავშირის შექმნა გარდატეხის მომენტი იყო ჩვენი ქვეყნის ხალხთა ისტორიაში, დიდი ნიშანსვეტი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში. საბჭოთა კავშირი განვითარდა სეგრეგაციულ საერთაშორისო ძალად, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს საერთაშორისო ვითარებაზე და შეცვალოს იგი მშრომელთა ინტერესებისათვის.

* * *

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ კომუნისტური პარტიის, როგორც მმართველი პარტიის, წინაშე დაისახა ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენების გრანდიოზული ამოცანები. კომუნისტური პარტიის ბელადმა, საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის გადაქცევისა მოწინავე, მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. ეს პროგრამა ითვალისწინებდა ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, მძიმე მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებას, მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას, სოციალისტურ საწყისებზე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის გარდაქმნის კოოპერაციული გეგმის ცხოვრებაში გატარებას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტიისა და ხალხის მტრები — ტროცკისტები, ბუხარინელები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები — ცდილობდნენ გადაეყვანათ პარტია და ქვეყანა ლენინური გზიდან პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა ლიკვიდაციისა და კაპიტალისტური წესწყობილების რესტავრაციის გზაზე. კომუნისტურმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, გაანადგურა გამცემლები და კაპიტულანტები, დაიცვა ლენინიზმი და აიღო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მტკიცე კურსი.

აჩაღებდა რა სოციალისტურ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, კომუნისტური პარტია ეყრდნობოდა საზოგადოების ეკონომიური განვითარების ობიექტურ კანონებს, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებულ საჭიროებებს, ხალხის ინტერესებს. ამასთან პარტიას მტკიცედ ახსოვდა ვ. ი. ლენინის მითითებანი იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება ყველაფერი, რაც საჭირო და საკმარისია სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენს პარტიას ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მიჰყავდა საბჭოთა ხალხი ლენინური გზით, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის გენიალური ლენინური გეგმის განხორციელების გზით.

ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე და მისი დიადი საქმის ღირსეული განმგრძობი ი. ბ. სტალინი ყოველთვის მოუწოდებდა კომუნისტებს და ყველა საბჭოთა ადამიანს შეესწავლათ ვ. ი. ლენინის შრომები, შეესრულებინათ მისი მოძღვრება, ეცხოვრნათ და ემუშავნათ ლენინურად.

„გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი,—წერდა ი. ბ. სტალინი.

ებრძოლეთ მტრებს, შინაურ და გარეშე მტრებს და სძლიეთ ისინი, — ილიჩისებურად.

აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა, — ილიჩისებურად.

არასოდეს არა სთქვათ უარი მცირედზე მუშაობაში, ვინაიდან მცირედისაგან შენდება დიდი, — ეს არის ილიჩის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ანდერძი“ (თხზ., ტ. 7, გვ. 17).

მთელ თავის მოღვაწეობაში პარტია ხელმძღვანელობს მარქს—ენგელს — ლენინ—სტალინის დიადი მოძღვრებით, კომუნისტური პარტიის უკვდავი შემქმნელისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიასძე ლენინის ბრძნული ანდერძით. ასრულებდა რა ვ. ი. ლენინის ბრძნულ ანდერძს, კომუნისტური პარტია ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, თანმიმდევრულად ატარებდა ცხოვრებაში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკას, განახორციელა კულტურული რევოლუცია და მიიყვანა ჩვენი სამშობლოს ხალხები სოციალიზმის გამარჯვებამდე.

სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტია იზრდებოდა და მტკიცდებოდა, აძლიერებდა თავის კავშირს მასებთან, ხალხთან. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის დაუცხრომლად ზრუნავდა პარტიის წევრის წოდებისა და მნიშვნელობის ყოველმხრივი ამაღლებისათვის. „ჩვენ, კომუნისტები, — ამბობდა ი. ბ. სტალინი,— განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი“ (თხზ., ტ. 6, გვ. 55).

კომუნისტური პარტია გაბედულად ძლევდა სიძნელეებს თავის გზაზე, ულმობლად ამსხვრევდა მტრების წინააღმდეგობას და მოდამ ინარჩუნებდა წამყვანი ძალის პოზიციას. მტკიცედ და რწმენით მიჰყავდა საბჭოთა ხალხი სოციალისტური საზოგადოების აშენების გზით. მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლაში პარტიამ დაიცვა და განამტკიცა თავისი რიგების ლენინური ერთიანობა, კიდევ უფრო მეტიდროდ დაირაზმა თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო. პარტიული რიგების მონოლითური ერთიანობა პარტიის სიმტკიცისა და უძლეველობის გადამწყვეტი პირობა იყო, არის და იქნება. თავის დიად ისტორიულ მოწოდებასა და დანიშნულებას კომუნისტური პარტია წარმატებით ასრულებს იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს თანამოაზრეთა მონოლითურ კოლექტივს, ნებისყოფის ერთიანობით, მოქმედების ერთიანობით, დისციპლინის ერთიანობით შედუღაბებულს.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება ლენინის ბრძნული ანდერძის შესრულების, კომუნისტური პარტიის გიგანტური მაორგანიზებელი და წარმმართველი მოღვაწეობის დიადი შედეგია, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის აღფრთოვანებული გმირული შრომის ნაყოფია.

განაზოგადა რა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება და თანამედროვე საერთაშორისო განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილება, ი. ბ. სტალინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად და მთელ რიგ საკითხებში გაამდიდრა რევოლუციური თეორია ახალი დებულებებით. ი. ბ. სტალინი დაუცხრომლად შრომობდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. იგი მიგვითითებდა, რომ სოციალისტური სახელმწიფოს სიმტკიცე და ძლიერება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცისა და უძლეველობის წყაროა მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირში ხედავდნენ პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლეს პრინციპს. კომუნისტურ პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია დაუცხრომლად განამტკიცოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი — ჩვენი სამშობლოს ძლიერების საფუძველი.

საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია ხალხთა მეგობრობა. ვ. ი. ლენინმა შექმნა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის იდეოლოგია, შეიმუშავა პარტიის მწყობრი თეორია, პროგრამა და ტაქტიკა ეროვნულ საკითხში. ეროვნულ საკითხში ლენინის საპროგრამო დებულებებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებში, პარტიის გადაწყვეტილებებში. ახორციელებს რა ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი შეაკავშირა ერთ ძმურ ოჯახად, დიად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. ჩვენი ქვეყნის ხალხების მეგობრობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების მძლავრი მამოძრავებელი ძალა გახდა. სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის განმტკიცებისათვის განუწყვეტლივ შრომობდა ი. ბ. სტალინი. კომუნისტური პარტია თვალსაჩინივით უფრთხილდება ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას, დაუღალავად ზრდის მშრომელებს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეოლოგიის სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

კომუნისტური პარტია მუდამ უდიდეს ყურადღებას აქცევდა ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეს. დიდ სამამულო ომში კომუნისტური პარტია გამოვიდა როგორც საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების შთამაგონებელი და მებრძოლი ხელმძღვანელი. მძიმე განსაცდელის დღეებში იგი მოქმედებდა როგორც ერთიანი საბრძოლო ორგანიზაცია, რომელმაც არ იცის მირყეობა და უთანხმობა თავის რიგებში. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სათავეში დაყენებულ იქნა ლენინის საქმის დიდი განმგრძობი ი. ბ. სტალინი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უშუალოდ სამხედრო სამუშაოზე გაგზავნა ნ. ა. ბულგანინი, ა. ა. ჟდანოვი, ა. ს. შჩერბაკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი და ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრები. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის მრისხანე ბრძოლებში კომუნისტური პარტია კიდევ უფრო შეესისხლხორცა ხალხს. ომმა კვლავ ცხადყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიდი ცხოველმყოფელი ძალა, პარტიის პოლიტიკის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა.

ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების შედეგად იმპერიალისტურ სისტემას ჩამოშორდნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები. ჩამოყალიბდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი სსრ კავშირის მეთაურობით, ამ ბანაკში მჭიდრო ძმური ერთიანობით საბჭოთა ხალხთან ერთად წინ მიდიან დიდი ჩინელი ხალხი, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოძმე ხალხები. ამ ბანაკში არიან გმირი კორეელი ხალხი და ვიეტნამის მშრომელები, რომლებიც თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან.

* * *

შემოქმედებითად ავითარებდა რა მეცნიერული კომუნიზმის თეორიას, ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების მეცნიერული პროგრამა. ლენინის გენიის უკვდავ ქმნილებებში მოცემულია ძირითადი პრინციპული, თეორიული მითითებანი კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის გზების შესახებ. კომუნისტურ მშენებლობას რომ აწყობს, ჩვენი პარტია ემყარება ლენინის ამ პროგრამულ დებულებებს, რომლებმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა ი. ბ. სტალინის შრომებში და პარტიის გადაწყვეტილებებში.

ხელმძღვანელობს რა ლენინიზმის მოძღვრებით, კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა მეცნიერულად დასაბუთებული და ათეული წლების ბრძოლით შემოწმებული პოლიტიკა, რომელიც გამოხატავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებსა და ხალხის ძირეულ ინტერესებს.

საბჭოთა ხალხი უსაზღვრო ნდობით ეკიდება და მხურვალე სიყვარულით არის გამსჭვალული თავისი კომუნისტური პარტიისადმი, რადგან იცის, რომ პარტიის მთელი მოღვაწეობა უმაღლესი კანონია ხალხის ინტერესებისადმი სამსახური. ჩვენი ქვეყნის მშრომელები განუხრელად ერთგულნი არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისა, რომელიც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას უზრუნველყოფს.

პარტია ყოველი ღონისძიებით ავითარებს მძიმე მრეწველობას — სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველს, მძიმე მრეწველობის განვითარებაში მიღწეულმა წარმატებებმა მოამზადა პირობები სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ფართო პროგრამა, რათა ორი-სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გადიდდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა მასობრივი მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლით. ამ ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტა კომუნისტური მშენებლობის პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

პარტია ფართოდ ავლენებს შიდარეზერვებს, რომლებიც ჩვენი მრეწველობის წიაღშია, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების უფრო წარმატებით შესრულებისათვის. პარტია მშრომელებს რაზმავს საწარმოთა მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის წინაშე მდგომი ახალი ამოცანების გადასაჭრელად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მთელი ჩვენი საშუალებებისა და შესაძლებლობების ყაირათიანად და გონივრულად გამოყენებისათვის.

დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამაც. საკოლმეურნეო წყობილებამ დაამტკიცა თავისი უდიდესი სასიცოცხლო ძალა და თავისი ძირეული უპირატესობანი ყოველ კერძოკაპიტალისტურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან შედარებით. მაგრამ პარტია ვერ დასჯერდება ამ წარმატებებს. იგი ითვალისწინებს მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ მოთხოვნილებებს. სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის მიუღწევლად შეუძლებელია სურსათის სიუხვის სრული უზრუნველყოფა და ჩვენი სწრაფად მზარდი მსუბუქი და კვების მრეწველობის ნედლეულით მომარაგება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებში სოფლის მეურნეობის საკითხებზე შემუშავებულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, პირველ რიგში მეცხოველეობის, და კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების დაჩქარებული განვითარების საბრძოლო, კონკრეტული პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის საარსებო საქმეა.

კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მარცვლეული მეურნეობის, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, ყოველა ღონისძიებით განვითარებას. პარტიის პოლიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ მთელი რეზერვები და შესაძლებლობანი გამოვიყენოთ მარცვლეულის წარმოების ყოველმხრივი გაძლიერებისაკენ. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად პარტია ცდილობს მიაღწიოს მილიონობით ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას განსაკუთრებით ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთის რაიონებში. პარტიის მოწოდებით ათასობით საბჭოთა პატრიოტი მიდის ამ რაიონებში დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანის შესასრულებლად.

საბჭოთა ადამიანები თავიანთი ცხოვრების გამოცდილებით ხედავენ, რომ პარტიის პოლიტიკა მიმართულია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი გაუმჯობესებისაკენ, მისი მუდამ მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებისაკენ. ეს იქიდან ჩანს, რომ საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს სახსრებს ახმარს საბინაო მშენებლობას, სახალხო განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, ეს თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკაში და სხვ.

განუხრელად ახორციელებს რა XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტია განამტკიცებს თავისი რიგების ერთიანობასა და ბრძოლისუნარიანობას, ყველა ღონისძიებით ავითარებს შინაპარტიულ დემოკრატიას, თვითკრიტიკას და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკას, თანმიმდევრულად ხელმძღვანელობს პარტიული ცხოვრების ნორმებითა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებით, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა. პარტიის შესახებ ლენინურ მოძღვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია პარტიული ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპი. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჯერ კიდევ რევოლუციამდელ წლებში ვ. ი. ლენინი უწოდებდა ხელმძღვანელთა კოლექტივს, პარტიის პრინციპების დამცველსა და განმმარტებელს. „პარტიის პრინციპებს ყრილობიდან ყრილობამდე იცავს და მათ განმარტავს ცენტრალური კომიტეტი“, — აღნიშნავდა ლენინი. იგი ყოველთვის მოითხოვდა, რომ დაცულ იქნას პარტიული ცხოვრების მტკიცე ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია პარტიის წესდებით.

ცენტრალური კომიტეტის კოლექტიური გამოცდილება და კოლექტიური სიბრძნე, რომლებიც დამყარებულია მარქს—ენგელს — ლენინ — სტალინის თეორიის მეცნიერულ საფუძველზე, ხალხის მასების შემოქმედებითს ენერგიასა და თვითმოქმედებაზე, უზრუნველყოფს პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის სისწორეს.

პარტიის პოლიტიკა მიმართულია საბჭოთა სახელმწიფოს — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ. საბჭოთა სახელმწიფო უდიდესი სიმტკიცითა და შეუპოვრობით იბრძვის ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისათვის, ახალი ომის თავიდან აცილებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის განმტკიცებისათვის.

პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ საგარეო პოლიტიკას, ხალხთა შორის მშვიდობის პოლიტიკას, რომელიც დაფუძნებულია ლენინიზმის დებულებაზე ორი სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების თანაარსებობისა და მშვიდობიანი შეჯიბრების შესაძლებლობის შესახებ. „აზრი ორი სისტემის თანამშრომლობის შესახებ,— ამბობდა ი. ბ. სტალინი, — პირველად ლენინმა გამოთქვა. ლენინი ჩვენი მასწავლებელია, ხოლო ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ლენინის მოწაფეები ვართ. ჩვენ არასოდეს არ გადაგვიხვევია და არც გადავუხვევთ ლენინის მითითებებს“ („პრავდა“, 1947 წლის 8 მაისი).

ფხიზლად დგას რა ხალხის ინტერესების, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე, კომუნისტური პარტია ითვალისწინებს, რომ საზღვარგარეთ არიან რეაქციული იმპერიალისტური ძალები, რომლებიც ცდილობენ გაამწვავონ და გააძლიერონ საერთაშორისო დაძაბულობა, გააჩაღონ ახალი ომი. ამიტომ, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს რა მშვიდობის პოლიტიკას, პარტიას საჭიროდ მიაჩნია განუწყვეტლივ სრულყოფდეს და განამტკიცებდეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს, აძლიერებდეს საბჭოთა ხალხის სიფხიზლეს საბჭოთა სახელმწიფოს მტრების ყველა და ყოველგვარი ხრიკების წინააღმდეგ.

ეყრდნობა რა საბჭოთა სოციალისტური წყობილების დიად უპირატესობებს, კომუნისტურ პარტიას ლენინ — სტალინის დროშით მტკიცედ და რწმენით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. საბჭოთა ადამიანები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწევენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის ძლევამოსილად განხორციელებას.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გორკაში (1922 წელი).

★ ★ ★

ბიბლიოთეკა

ბერლინის თათბირის შედეგების შესახებ

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

25 იანვრიდან 18 თებერვლამდე ბერლინში მიმდინარეობდა საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. ეს თათბირი მიეძღვნა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხების განხილვას.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების წინა თათბირი გაიმართა 1949 წლის გაზაფხულზე. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ასეთი თათბირები არ ყოფილა. თავის მხრივ, ბერლინის თათბირმა ერთსულოვნად გამოიტანა დასკვნა, რომ საჭიროა მოეწყოს ახალი თათბირი საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების, რასაც გარკვეული საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

I

უკანასკნელ ხუთ წელიწადში დიდი სიცხადით გამოირკვა განვითარების ომისშემდგომი ტენდენციები კაპიტალიზმის ქვეყნების ბანაკში. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ამ ბანაკში ხელმძღვანელი როლის პრეტენზია აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს. მათ უფრო მეტის პრეტენზიაც აქვთ, ისინი მოურიდებლად ამბობენ, რომ იკისრეს „მსოფლიოში ხელმძღვანელი როლის ტვირთი“, რომ შეერთებული შტატები თითქოს „მსოფლიოს ხელმძღვანელი“ არიან, თუმცა ამ პრეტენზიებს, რა თქმა უნდა, საფუძველი არა აქვს.

ამ მისწრაფებებმა თავისი პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მოწყობით, რომელიც შეიქმნა 1949 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ინიციატივით და ინგლისის მმართველი წრეების აქტიური მხარდაჭერით. ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტს ხელი მოაწერეს შემდეგმა ქვეყნებმა: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, ჰოლანდიამ, ლუქსემბურგმა, დანიამ, ნორვეგიამ, ისლანდიამ, პორტუგალიამ, იტალიამ, საბერძნეთმა და თურქეთმა. ზოგიერთმა ამ ქვეყანამ პაქტს ხელი მოაწერა გარედან პირდაპირი ზეგავლენით. ფაქტიურად კი ეს პაქტი ინგლის-ამერიკის ბლოკის იარაღია, ამასთან სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ გამოიყენონ ეს ხელშეკრულება თავიანთი მსოფლიო ბატონობის დამყარების ინტერესებისათვის. ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი წააგავს ცნობილ „ანტიკომინტერნულ პაქტს“, რომელიც 1937 წელს დადეს ჰიტლერულმა გერმანიამ, მილიტარისტულმა იაპონიამ და ფაშისტურმა იტალიამ და რომელიც თავდაპირველად მიმართული იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ. საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის ბედი უკეთესი არ იქნება, ვიდრე „ანტიკომინტერნული პაქტის“ ბედი.

მსოფლიო ბატონობის აშკარა პრეტენზიებთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე ინგლისის მმართველი წრეები სულ უფრო ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თავიანთი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას ისინი აპირებენ „ძალის პოზიციიდან“. ამაში მოულოდნელი არაფერია. მსოფლიო ბატონობისადმი მისწრაფებიდან ერთი ნაბიჯია „ძალის პოზიციის“ პოლიტიკამდე ან პოლიტიკამდე — „მშვიდობა ძალის საფუძველზე“.

ახლა ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, თუ რა გამოიწვია ამ პოლიტიკის ქებადიდებამ არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, არამედ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნებშიც.

ამ პოლიტიკის პირდაპირი გამოხატულებაა გამალებული შეიარაღება, რაც ბოლო დროს გააჩაღეს. გამალებულმა შეიარაღებამ უმაგალითო მასშტაბს მიაღწია შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში, ნორვეგიასა და ამ ბლოკის სხვა ქვეყნებში. ამ გამალებული შეიარაღებით უკვე ძალიან გამდიდრდნენ ამერიკისა და ევროპის კაპიტალისტური მონოპოლიები. მაგრამ იგი აუტანელი გადასახადებისა და გაზრდილი სასაქონლო ფასების ძმიმე ტვირთად დააწვა ხალხს, მშრომელებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა ატომური ბომბებით ყოველგვარ დაშინებას. მაგრამ ესეც დიდხანს არ ეყოთ. ახლა ყველა ხედავს, რომ სრულიად დაუსაბუთებელი აღმოჩნდა ვარაუდები, რომლებიც ემყარებოდა ფუქ იმედებს ამ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნების შესახებ.

გამალებულ შეიარაღებასთან ერთად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, აგრეთვე ინგლისმა გააჩაღეს სამხედრო ბაზების ქსელის მშენებლობა ევროპაში და მომიჯნავე ტერიტორიებზე. ის ფაქტი, რომ ეს სამხედრო ბაზები შენდება აშკარად საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული მიზნებისათვის, მხოლოდ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნას თავდაცვის ინტერესებთან საერთო არა აქვს რა.

ერთგულებამ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკისადმი ის გამოიწვია, რომ ორი წლის წინათ ხელი მოაწერეს პარიზის ხელშეკრულებას ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების აღდგენა. ახლა ადგენენ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის გეგმებს, რის წინააღმდეგაც ამ ცოტა ხნის წინათ ილაშქრებდნენ არა მარტო საფრანგეთი და ევროპის სხვა ქვეყნები, არამედ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი. ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა ახალი, და ამავე დროს განსაკუთრებით სერიოზული სიძნელეები გერმანიის პრობლემის მოსაწესრიგებლად.

„ძალის პოზიციის“ პოლიტიკის გამოხატულებაა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი სხვა მოქმედება საერთაშორისო ურთიერთობის დარგში.

მაგალითად, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ყველა იმ დისკრიმინაციულ ღონისძიებას საერთაშორისო ვაჭრობის დარგში, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისთან და ამ ბანაკის სხვა ქვეყნებთან ერთად ახორციელებენ უკანასკნელ წლებში სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ამ პოლიტიკამ უკვე დიდი ზიანი მოუტანა თვით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს, მაინც სხვადასხვა საბაბით ხორციელდება ზეგავლენის სხვადასხვა ღონისძიება, რათა კვლავაც შეუშალონ ხელი ნორმალურ საერთაშორისო ვაჭრობას, რათა შეზღუდონ და გააძნელონ ეკონომიური ურთიერთობა დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან. მაგრამ ამ პოლიტიკის საწინააღმდეგო შედეგი ის არის, რომ ამ წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა სსრ კავშირის, ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობა, ამასთან ამ ქვეყნებში წლითიწლობით იზრდებოდა ეკონომიური აღმავლობა.

ახლა ყველა ხედავს, რომ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკამ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები ახორციელებენ, არ გამოიღო დადებითი შედეგები არც პოლიტიკურ, არც ეკონომიურ დარგში. იგი მარცხს განიცდის სამხედრო დარგშიც.

ამ პოლიტიკამ ვერ გაუძღო განსაცდელს, უწინარეს ყოვლისა, კორეაში. მან ვერ მოუტანა შეერთებულ შტატებს სამხედრო გამარჯვება. ჩაებნენ რა კორეის სამხედრო ინტერვენციაში, შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს თავიანთი სამხედრო პრესტიჟისა და თავიანთი მორალური ავტორიტეტის გაფლანგვა, ეს პოლიტიკა არ შეიძლებოდა მარცხით არ დამთავრებულიყო იქ, სადაც ხალხი შეუპოვარ ბრძოლას ეწოდა თავისი ეროვნული უფლებებისათვის, თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

მიუხედავად მთელი იმ დახმარებისა, რასაც საფრანგეთს უწევენ ინდოჩინეთში შეერთებული შტატები, აქაც „ძალის პოზიციის“ პოლიტიკამ კარგი ვერაფერი მოიტანა. აქ დამარცხებას დამარცხებაზე განიცდის საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა, და, მასთან ერთად, „კოლონიალიზმის“ მხარდაჭერის პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ. ინდოჩინეთში თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის წინააღმდეგ გაჭიანურებულმა ომმა არათუ სახელი არ მოუწვეჭა „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას, არამედ, პირიქით, გამოიწვია მისი სრული დისკრედიტაცია.

ყოველივე ნათქვამს უნდა დაემატოს, რომ სწორედ უკანასკნელ ხუთწლეულში არამარტო შეიქმნა, არამედ კიდევაც განმტკიცდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც ჩინელი ხალხი გაათავისუფლა უცხოელ იმპერიალისტთა ძალადობისაგან. ეს ფაქტი ძირეულად ცვლის მდგომარეობას მთელ აზიაში. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი შემდგომი საერთაშორისო განვითარებისათვის.

სწორედ ჩინეთის მიმართ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას იყენებდნენ და იყენებენ განსაკუთრებული სიჯიუტით და ბევრი შეუსაბამო უკიდურესობით. მაგრამ სწორედ აქ ამ პოლიტიკის ჩაფუშვა განსაკუთრებული დამაჯერებლობით იჩენს თავს.

უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე სოციალიზმისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთელი ბანაკი ბევრად განმტკიცდა და გაძლიერდა, ამ წლებში შეიქმნა მეორე მსოფლიო ბაზარი, რომელმაც მოიცვა დემოკრატიულ ბანაკში შემავალი როგორც მაღალინდუსტრიული ქვეყნები, ისე აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნებიც. ამ ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობა ვითარდებოდა სულ უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და მზარდი მეგობრობის მიმართულებით.

რას ნიშნავს „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები და ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნები ახორციელებენ? იგი, ბოლოს და ბოლოს, გამოიხატება საგარეო და საშინაო პოლიტიკით, რომელსაც ახორციელებენ ახალი ომის მომზადების ინტერესებისათვის. იგი სხვა რამეს არ შეიძლება ნიშნავდეს. ასეთი პოლიტიკა ვერ დაემყარება ხალხთა მტკიცე მხარდაჭერას.

შეერთებული შტატების ამ პოლიტიკისაგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება. საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა ემყარება იმ ძირითად გეზს, რომ არ არის საერთაშორისო ურთიერთობაში ისეთი სადავო საკითხები, რომელთა გადაჭრა არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით. ეს არის მშვიდობის განმტკიცების პოლიტიკა. იგი შეესაბამება ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის ინტერესებს და ემსახურება მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისმოყვარე ძალების დარაზმვას.

სულ ბოლო დრომდე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აღნიშნული საგარეოპოლიტიკური კურსი გარკვეულ ტონს აძლევდა კაპიტალისტური ბანაკის ქვეყნების უმრავლესობას. „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელება გარდუვალად იწვევდა საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის გაძლიერებას. ეს თავს იჩენდა ევროპაშიც და აზიაშიც. ეს თავს იჩენდა და იჩენს მსოფლიოს ყველა ნაწილში.

საერთაშორისო ვითარებაში დიდმნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ინიციატივამ, რასაც შარშან მოჰყვა კორეის ომის დამთავრება.

კორეაში დროებითი ზავის დადებამ ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას. ამან საშუალება მისცა საბჭოთა კავშირს დაესვა საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელების საკითხი. თვით ფაქტი ბერლინის თათბირის მოწვევისა მოწმობდა, რომ ახლანდელ პირობებში არის ასეთი შესაძლებლობანი.

ბერლინის თათბირის მოწვევას წინ უძღოდა ხანგრძლივი დიპლომატიური მიწერ-მოწერა საბჭოთა მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის. ნოტების გაცვლას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, ამან გააუმჯობესა ბერლინის თათბირის მოწვევის პირობები.

დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობათა წინადადება ის იყო, რომ მომავალი თათბირი დასჯერებოდა ზოგიერთი საკითხის განხილვას გერმანიის პრობლემის შესახებ და ავსტრიის ხელშეკრულების საკითხის განხილვას. ისინი ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ სხვა საკითხების და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საერთო საკითხის განხილვა.

თავის მხრივ, საბჭოთა მთავრობას მიაჩნდა, რომ, მას შემდეგ, რაც კორეის ომი დამთავრდა და დროებითი ზავი დაიდო, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები, რათა განხილულიყო იმ ღონისძიებათა საკითხი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის საერთო შენელებას, მათ შორის შეიარაღების შემცირებისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების დაუშვებლობის საკითხები.

საბჭოთა მთავრობამ წინადადება შეიტანა მოეწყოს ხუთი დიდი სახელმწიფოს — საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საკითხზე, აგრეთვე ოთხი სახელმწიფოს მინისტრების თათბირი გერმანიის საკითხზე, მათ შორის გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და საბაჟო ხელშეკრულების დადების პრობლემაზე.

დიპლომატიურ მიწერ-მოწერაში, რომელიც გასული წლის დამლევამდე მიმდინარეობდა, ვერ მოხერხდა სრული შეთანხმების მიღწევა, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი მიდიოდნენ იმის წინააღმდეგ, რომ მოწვეულიყო ხუთი დიდი სახელმწიფოს ზემოთ აღნიშნული თათბირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით. მაშინ საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ამ საკითხს განსახილველად დააყენებს საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის წარმომადგენელთა ბერლინის თათბირზე, რომლის შესახებ უკვე მიღწეული იყო შეთანხმება.

ბერლინის თათბირზე ჩვენ წარვადგინეთ შემდეგი დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებანი და საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევა.

2. გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები.

3. ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულება.

ეს დღის წესრიგი თათბირმა მიიღო, თუმცა ზოგიერთი შენიშვნით.

არ შეიძლება დავივიწყოთ, თუ როგორ ამზადებდნენ საზოგადოებრივ აზრს დასავლეთის ქვეყნებში ბერლინის თათბირის წინ. ამ მზადებაშიც ჩანდა ინგლის-ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი კურსი, რომელიც მეაღვნიშნე.

უკანასკნელ ხანს ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე ინგლისის გაბატონებული წრეები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა გაეძლიერებინათ ზეგავლენა სსრ კავშირზე. არა მარტო ამ წრეების პრესა, არამედ სახელმწიფო მოღვაწეებიც აკეთებდნენ ყოველგვარ განცხადებებს, რომ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება ამაოა და რომ ბერლინის თათბირი აუცილებლად ჩაფუშებაო. მიმართავდა რა ზეგავლენის ამა თუ იმ საშუალებას, თათბირის პირდაპირი ჩაშლის მუქარასაც კი, რეაქციული პრესა ვერ მალავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი დაინტერესებული იყვნენ ბერლინის თათბირით.

ამ ქვეყნების მთავრობებს არ შეეძლოთ მხედველობაში არ მიეღოთ სულ უფრო მზარდი ზეგავლენა დემოკრატიული საზოგადოებრივი წრეებისა, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირს ანგარიში გაეწია იმისათვის, რომ ხალხები ესწრაფვიან საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას. ამავე მიმართულებით მოქმედებს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა, განსაკუთრებით აზიაში. მოვლენათა მსვლელობამ დაადასტურა, რომ საფრანგეთი, ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვნად იყვნენ დაინტერესებული ბერლინის თათბირის მოწვევით.

ვიდრე ვილაპარაკებდეთ ბერლინის თათბირზე მიღწეულ შეთანხმებებზე, საჭიროა შევეხოთ განსხვავებას, რომელიც გამოირკვა სსრ კავშირისა და დასავლეთის სამი სახელმწიფოს პოზიციებში.

II

თათბირმა უმეტესი ყურადღება მიაქცია გერმანიის პრობლემას. ეს, როგორც ყველასათვის ცნობილია, მთავარი საკითხია იმ პრობლემებიდან, რომლებიც გადაუჭრელი დარჩა ომის დამთავრების შემდეგ. ამავე დროს, ოთხ სახელმწიფოს, რომელთა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ბერლინის თათბირში, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია ამ პრობლემის სწორი გადაჭრისათვის. ეს ნიშნავს, რომ გერმანიის საკითხი უნდა გადაიჭრას ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

განხილვამ სავსებით ცხადყო, რით გამოიხატება არსი უთანხმოებისა ერთი მხრივ საბჭოთა კავშირსა და მეორე მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერმანიის პრობლემისადმი დამოკიდებულება საფრანგეთში სავსებით ემთხვევა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის გაბატონებული წრეების დამოკიდებულებას ამ პრობლემისადმი.

საბჭოთა კავშირი იცავდა და იცავს იმ პოზიციას, რომ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმასთან, რომ არ იქნას დაშვებული გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება.

აქედან გამოდის, რომ არ უნდა გადაიდოს ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება საჭიროა გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე. ასეთი პოზიცია სავსებით შეესაბამება იმ შეთანხმებებს, რომლებიც დადო ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებს შორის — ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და სსრ კავშირს შორის და რომლებსაც შემდეგ შეუერთდა საფრანგეთიც, როგორც ომის პერიოდში, ისე უშუალოდ მისი დამთავრების შემდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა კი გადაუხვიეს ამ პოზიციას, ფიქრობენ თელავენ მათ მიერ ერთ დროს ხელმოწერილ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებებს და დაადგნენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისათვის ხელის შეწყობის გზას, რამდენადაც ამჟამად ამის გაკეთება არ შეიძლება მთელი გერმანიის მიმართ, ისინი დაჟინებით ამზადებენ გერმანიის დასავლეთი ნაწილის რემილიტარიზაციას, ამ საქმეში ისინი ემყარებიან ადენაუერის ბონის მთავრობასაც.

საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მთავრობა რომ შეთანხმებულიყვნენ იმაზე, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა შეუწყნარებელია, დანარჩენი სადავო საკითხების გადაჭრა ბევრად გაადვილდებოდა. ამასთან ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობები ამ საქმეში უნდა დაყრდნობოდნენ არა გერმანელ მილიტარისტებსა და რევანშისტებს, არამედ გერმანიის დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე ძალებს, რომლებიც გამოხატავენ გერმანელი ხალხის ნამდვილ ნებას.

ბერლინის თათბირმა დაადასტურა, რომ გერმანიის პრობლემაზეც გავლენას ახდენს ინგლის-ამერიკის ბლოკის საგარეო პოლიტიკის ის კურსი, რომელიც იმით გამოიხატება, რომ განახორციელონ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა ან „ძალის საფუძველზე მშვიდობის“ პოლიტიკა.

ამას მოწმობს ისეთი ფაქტები, როგორიც არის 1952 წლის მაისში ხელმოწერილი პარიზისა და ბონის ხელშეკრულებები. ამ ხელშეკრულებებმა განსაკუთრებით აქტუალური გახადა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საფრთხე.

პარიზის ხელშეკრულებით 50 წლის ვადით იქმნება ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, რომლის ალმითაც ეწყობა საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალებისაგან შემდგარი „ევროპის არმია“. აქედან ჩანს, რომ ევროპის დაახლოებით 30 სახელმწიფოდან ევროპის ექვსმა სახელმწიფომ, მათ შორის დასავლეთმა გერმანიამ, მიზნად დაისახეს შექმნან ვიწრო და კარჩაკეტილი სამხედრო დაჯგუფება, რომელსაც უკანონოდ მიაკუთვნეს „ევროპის“ აბრა, თუმცა ევროპის სახელმწიფოთა ოთხი მეხუთედი მასში არ შედის. ამ ხელშეკრულებით ლეგალური ხდება დასავლეთ გერმანიის არმიის (ვერმახტის) აღდგენა და მისი შეყვანა აღნიშნულ სამხედრო დაჯგუფებაში. დასაწყისისათვის ფიქრობენ შექმნან დასავლეთ გერმანიის 12 დივიზია, მაგრამ უკვე ახლა არის ამ ჯარების შემდგომი გადიდების გეგმები. შემთხვევითი როდია, რომ უკვე ლაპარაკობენ დასავლეთ გერმანიის 25 და 60 დივიზიის შექმნაზეც კი. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ამ დღეებში დასავლეთ გერმანიის პარლამენტმა (ბუნდესტაგმა) მოქმედი კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მიიღო ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც საშუალებას იძლევიან შემოიღონ დასავლეთ გერმანიაში სამხედრო ბეგარა 18 წელს მიღწეული მამაკაცებისათვის. ამით ცდილობენ ხელი გაუხსნან ადენაუერის მთავრობას არმიის შექმნის საქმეში.

გარდა პარიზის ხელშეკრულებისა, რომელსაც ხელი მოაწერა ექვსმა სახელმწიფომ, მაშინვე დაიდო ბონის ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, აგრეთვე დასავლეთი გერმანია. ბონისა და პარიზის ხელშეკრულებები ერთიმეორეს ავსებს.

ბონის ხელშეკრულების თანახმად, დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ათეული წლების განმავლობაში იქნებიან ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები, რაც დასავლეთ გერმანიას აქცევს ნახევრადოკუპირებულ სახელმწიფოდ. ამ ხელშეკრულებას ხელს აწერს ადენაუერის მთავრობაც, რომელიც ახლა მთავარი დასაყრდენია დასავლეთგერმანელი რევანშისტებისა, რომლებსაც სურთ გაკაფონ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის გზა. დასავლეთგერმანელი რევანშისტები დღეს დათანხმდნენ ხელი მოაწერონ ბონის ხელშეკრულებას, რომელიც გერმანელი ხალხის დამამცირებელია. მაგრამ შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ, როცა, პარიზის ხელშეკრულების თანახმად, დასავლეთ გერმანიაში შეიქმნება არმია ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით, — მაშინ ისინი ანგარიშს აღარ გაუწევენ ამ ხელმოწერას. მაშინ გამომჟღავნდება მათი ნამდვილი მიზნები, გამომჟღავნდება მათი აგრესიული რევანშისტული ვარაუდები, — და ამას პირველნი მეზობელი ქვეყნები იგრძნობენ.

პარიზისა და ბონის ხელშეკრულებებთან ერთად გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის სამმხრივი დეკლარაცია, რომლის მიზანია ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და დააჩქარონ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ და, მაშასადამე, აგრეთვე „ევროპის არმიის“ შექმნა.

ყოველივე ეს ამჟღავნებს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების შორს გამიზნულ გეგმებს, რისთვისაც ხელმოწერილ იქნა პარიზისა და ბონის ხელშეკრულებანი. თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს არ შეჰყავთ თავიანთი ჯარები „ევროპის არმიის“ შემადგენლობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ სურთ ფაქტიური ბატონ-პატრონები იყვნენ ამ საქმეში. „ევროპის არმიის“ შექმნისა და მასში დასავლეთგერმანელ მილიტარისტთა არმიის შეყვანის ვარაუდები შეიძლება აიხსნას მხოლოდ ევროპაში ახალი ომის მომზადების გეგმებით. ამასთან ცხადი ხდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს სურთ, რომ ეს ახალი ომი „ევროპელთა“ ხელით წარმოებდეს.

„ევროპის არმიის“ შექმნის შემდეგ ხუთივე დიდი სახელმწიფოდან მხოლოდ საფრანგეთს წაართმევა შესაძლებლობა იყოლიოს საკუთარი ეროვნული არმია, რამდენადაც მისი შეიარაღებული ძალები შევლენ „ევროპის არმიაში“. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ამ „ევროპის არმიაში“ გაბატონებულ მდგომარეობას დაიკავებენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალები. ამასთან ერთად საფრანგეთი უხეშად თელავს თვით საფუძვლებს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის ხელშეკრულებისას, რომლის მიზანია არ დაუშვას ახალი აგრესია გერმანიის მილიტარიზმის მხრივ. არიან ფრანგი მინისტრები, რომლებიც თანხმდებიან ყოველივე ამაზე, თუმცა გაუგებარია, როგორ შეიძლება შეარიგო ასეთი პოზიცია საფრანგეთის ეროვნულ ღირსებასა და ინტერესებთან.

როგორც ცნობილია, პარიზის ხელშეკრულება ჯერ არ მიუღიათ საფრანგეთის, ბელგიისა და იტალიის პარლამენტებს და ამიტომ იგი ჯერ ძალაში არ შესულა. მაგრამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი სულ უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენენ — განსაკუთრებით საფრანგეთზე — რათა ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნას და დაიწყოს მისი განხორციელება.

ბერლინის თათბირზე არა მარტო დალესა და იდენს, არამედ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბიდოსაც მოჭყავდათ ყოველგვარი საბუთები პარიზის ხელშეკრულებისა და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის დასაცავად. ისიც კი თქვეს, რომ დასავლეთ გერმანიასთან დადებული ხელშეკრულებები ფორმალურად სავალდებულო არ იქნება მომავალი გაერთიანებული გერმანიისთვისო. საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის მინისტრების ამ განცხადებებს თავის დროზე გაიხსენებენ გერმანელი მილიტარისტები და რევანშისტები, თუ მათ მოახერხეს პრაქტიკულად გამოიყენონ დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენის შესაძლებლობა, რასაც პარიზის ხელშეკრულება იძლევა.

მაგრამ უკვე დღეს ცხადია, რომ სინამდვილეში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, აგრეთვე ადენაუერის მთავრობა გამორიცხავენ გერმანიის ერთიან სახელმწიფოდ დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანიის გაერთიანების თვით შესაძლებლობას. პარიზის ხელშეკრულების შესაბამისად ისინი პირდაპირ აცხადებენ, რომ თუ ეს ხელშეკრულება არ გავრცელდა მთელ გაერთიანებულ გერმანიაზე, ისინი არ დაუშვებენ გერმანიის ორივე ნაწილის თვით გაერთიანებას და, მაშასადამე, არ დაუშვებენ გერმანიის ერთიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. ყოველივე ეს ნათელს ხდის იმას, თუ რა ცოტა მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი ყველა დანარჩენ თავიანთ წინადადებას გერმანიის საკითხზე.

შეიძლება ისე გავიგოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მინისტრებს ბერლინის თათბირზე არ აინტერესებდათ გერმანიის პრობლემის ნამდვილი გადაწყვეტა, ან თუნდაც რაიმე პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანელი ხალხისათვის. მთელი მათი ყურადღება მიქცეული ჰქონდა ერთ მისწრაფებას — გაეკაფათ გზა „ევროპის არმიის“ შექმნისათვის თანახმად პარიზის ხელშეკრულებისა, რომელიც კარს უღებს დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინებას.

ბერლინის თათბირზე საბჭოთა მთავრობის ის წინადადებაც კი არ მიიღეს, რომ მოესმინათ გერმანელებისათვის და შეეტყოთ, რას ფიქრობს თვით გერმანელი ხალხი გერმანიის გაერთიანების გადაუდებელი ამოცანებისა და ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში გერმანელი ხალხის მონაწილეობის შესახებ. ეს არ მოიკურვა არც დასავლეთ გერმანიის მთავრობამ, იგი, თურმე ნუ იტყვით, არ აპირებს ერთ მაგიდაზე შეხვდეს აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობას — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც ეწინააღმდეგება გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის გეგმებს. ამავე დროს, ახლანდელ პირობებში სწორედ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გამოხატავს ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელის ნამდვილ ნებას, გერმანელი ხალხის ნამდვილ მისწრაფებას მშვიდობისადმი და სხვა ხალხებთან მეგობრული ურთიერთობისადმი. გერმანიის წარმომადგენლებისათვის მოსმენაზე უარისთქმა იმას მოწმობს, თუ რამდენად დაშორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერლინის თათბირის შედეგების შესახებ

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

(დასასრული)

საოკუპაციო ხარჯები შეადგენს დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი შემოსავლის თითქმის 35 პროცენტს.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მინისტრების წინადადება გერმანიის საკითხზე ამოიწურა მხოლოდ იმით, რომ მოეწყოს ეგრეთწოდებული „თავისუფალი არჩევნები“ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში. მაგრამ ამ წინადადებასაც საერთო არაფერი ჰქონდა იმასთან, რომ გერმანიის პრობლემა გადაიჭრას ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესების შესაბამისად და მოეწყოს ნამდვილად თავისუფალი არჩევნები. ამასთან ეს წინადადება გამსჭვალული იყო უნდობლობით გერმანელი ხალხისა და მისი დემოკრატიული ძალებისადმი.

მოითხოვდნენ, რომ გერმანიის ეს წმინდა საშინაო საქმეც კი წაერთმიათ გერმანელებისათვის და გადაეცათ საოკუპაციო ხელისუფალთათვის. საბჭოთა კავშირის წინადადება, რომ ოთხი სახელმწიფო დახმარებოდა გერმანელებს შეექმნათ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის პარლამენტებისა და დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა და რომ ამ მთავრობას თვითონ მოეწყო სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები, არ იქნა მიღებული.

არ მიიღეს ჩვენი მეორე წინადადებაც, რომ სრულიად გერმანიის არჩევნებამდე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიის ტერიტორიიდან გაყვანილ იქნან მთელი საოკუპაციო ჯარები, გარდა ზუსტად განსაზღვრული კონტინგენტებისა. ამ საბჭოთა წინადადების მიზანია აღიკვეთოს საოკუპაციო ხელისუფალთა ზეგავლენა არჩევნებზე. მაგრამ ეგრეთწოდებული „თავისუფალი არჩევნების“ მომხრეებმა უარი თქვეს მიეღოთ ეს წინადადება, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ნამდვილად თავისუფალი არჩევნების ინტერესებს.

დალესი ახლაც ამბობს სიტყვებს ბერლინის თათბირის შესახებ და თავი მოაქვს ხალხთა „თავისუფლების“ თავგამოდებულ მომხრედ, „თავისუფალი არჩევნების“ მომხრედ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ „თავისუფლების“ შესახებ ნათქვამი ყოველი სიტყვა როდი იცავს ხალხის, მშრომელთა ნამდვილ თავისუფლებას. თავისუფლების ზოგიერთ „დამცველს“ მოსწონს ისეთი „თავისუფლება“, როცა ექსპლოატატორებსა და მილიტარისტებს ხელფეხი გახსნილი აქვთ და არხეინად ცხოვრობენ, ხოლო მშრომელ ხალხს მუდამ ეშუქრება ომი და ახალი ყლეტა. ჩვენ, რასაკვირველია, ასეთი „თავისუფლების“ მომხრე არა ვართ. ჩვენ მოვითხოვთ ისეთ თავისუფლებას, ნამდვილ თავისუფლებას, როცა მილიტარისტები ვერ შეძლებენ ჩაბნან ხალხები ახალ სისხლისმღვრელ ომში.

ცნობილია, რომ ერთ დროს 1932-1933 წლების პერიოდში ჰიტლერი და მისი ხროვა სათავეში ჩაუდგნენ ხელისუფლებას აგრეთვე ეგრეთწოდებული „თავისუფალი არჩევნების“ საფუძველზე. ჰიტლერი ერთბაშად როდი გახდა გერმანიის რაიხსკანცლერი. თავდაპირველად მას გზა გაუკაფეს მაშინდელმა ადენაუერებმა, მაგალითად, ცნობილმა ფონ პაპენმა, რომელიც იმავე პარტიას ეკუთვნოდა, რომელსაც ბონის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ადენაუერი. კარგად არის ცნობილი, რომ მაშინ ჰიტლერსა და მის ხელქვეითებს, როგორიც იყო ფონ პაპენი, ზურგს უმაგრებდნენ გერმანელი მაგნატები — მონოპოლისტები, რომლებიც განსაკუთრებით იძენდნენ კაპიტალებს სამხედრო მრეწველობის ყოველნაირად გაფართოებით. ახლაც ადენაუერის ხროვას, რომელიც ოცნებობს დაჩქარდეს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, ზურგს უმაგრებენ ისეთივე გერმანელი მაგნატები — მონოპოლისტები, რომლებიც ახალ უდიდეს მოგებათა და ზემოგებათა მიღების ვარაუდებს ამყარებენ იმაზე, რომ განახორციელონ ახალი გამალებული შეიარაღება, და რომლებიც თავიანთ ინტერესებს, უწინარეს ყოვლისა, უკავშირებენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების გეგმებს.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები სიტყვით თავისუფალი არჩევნების მომხრენი არიან, ნამდვილად კი უარს ამბობენ იმაზე, რომ საქმე იქონიონ გერმანელი ხალხის დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან. მათ იმედი აქვთ, რომ იმ „თავისუფლებას“, რომელიც მათ სურთ მისცენ გერმანიას, ისინი ყველაზე უკეთ უზრუნველყოფენ საოკუპაციო ხელისუფალთა საშუალებით, საოკუპაციო ჯარებზე დაყრდნობით. გერმანიის დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალებისადმი ასეთი უნდობლობა არათუ ვერ გააადვილებს გერმანიის შემდგომ განვითარებას დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე, არამედ ეს პირდაპირი მხარდაჭერაა გერმანელი მილიტარისტებისა და რევანშისტებისათვის, რომლებიც უკვე სარგებლობენ ამ მხარდაჭერით დასავლეთ გერმანიაში თავიანთი მიზნების მისაღწევად.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების ახლანდელ პოლიტიკაში გერმანიის მიმართ ყველაფერი ექვემდებარება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“, ესე იგი „ევროპის არმიის“ შექმნის გეგმებს, რასაც მოჰყვება მილიტარიზმის აღდგენა დასავლეთ გერმანიაში. ეს კურსი ვერ შეუწყობს ხელს ევროპაში მშვიდობის განმტკიცების საქმეს. ეს კურსი ამასთანავე გზას გადაუჭრის გერმანიის ერთიანობის აღდგენას, რამდენადაც დასავლეთი გერმანია აღარ იქნება მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, და შეუძლებელი ხდება გერმანიის აღდგენა დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე.

საბჭოთა კავშირი სხვა პოლიტიკის, სხვა კურსის მომხრეა გერმანიის საკითხში.

ეს გამოიხატა საბჭოთა კავშირის წინადადებებში საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარების შესახებ, აგრეთვე გერმანიის გაერთიანების, სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნისა და სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ. ამ წინადადებათა მიზანია ყოველი ღონისძიებით დაჩქარდეს გერმანიის ეროვნული გაერთიანება და ამასთანავე უზრუნველყოფილ იქნას გერმანიის შემდგომი განვითარება დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე. საკმარისია ამკარაა, რომ სსრ კავშირის წინადადებანი აღკვეთენ ისეთი მდგომარეობის შესაძლებლობას, როცა გერმანია შეიძლება კვლავ გადაიქცეს აგრესიის საშიშ კერად ევროპაში. ამ წინადადებათა მიზანი ის არის, რომ დაშვებულ არ იქნას გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა.

ამრიგად, გერმანიის საკითხის გადაწყვეტა ახლა დაკავშირებულია ერთ ძირითად პრობლემასთან: **აღდგენილ იქნას თუ არა გერმანიის მილიტარიზმი.**

უნდა ითქვას, რომ „ევროპის არმიის“ შექმნის კურსს, დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენასთან ერთად, აქტიურად ეწინააღმდეგებიან მთავრობის წრეებს გარეთ ისეთ ქვეყნებში, როგორიც საფრანგეთი და ინგლისი არიან, და დასავლეთ გერმანიაშიც კი.

მაგალითად, საფრანგეთში ძლიერდება წინააღმდეგობა ამ კურსისადმი არა მარტო მუშებსა და მშრომელთა სხვა ფენებს შორის, არამედ ბურჟუაზიულ წრეებშიც. საფრანგეთის პარლამენტში ეს წინააღმდეგობა სულ უფრო ძლიერდება. ინგლისელ ხალხში ფართოდ გავრცელდა უკმაყოფილება ამ კურსის გამო. შემთხვევითი როდია, რომ ლეიბორისტების თითქმის ნახევარი პარლამენტში წინააღუდგა ამ კურსს, რომლის განხორციელებასაც იცავენ ლეიბორისტული პარტიის მემარჯვენე ლიდერები. დასავლეთ გერმანიაშიც კი სოციალ-დემოკრატები, ანგარიშს უწევენ რა მასების განწყობილებას, კვლავ გამოდიან ადენაუერის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის მიზანია თუნდაც გერმანიის გაერთიანებაზე უარისთქმის ფასად დაჩქარდეს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება.

ეს გასაგებიც არის. პოლიტიკა, რომელსაც გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება მოჰყვება, კანონიერ შეშფოთებას იწვევს ევროპის ყველა ქვეყანაში.

ამ კურსთან დაკავშირებით მთელი სიგრძე-სიგანით დგება საკითხი: საით მიდის საქმე — მშვიდობის განმტკიცებისაკენ თუ ახალი ომისაკენ?

რა მოჰყვება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ახლანდელ კურსს გერმანიის საკითხში?

ამ კურსს მოჰყვება ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო დაჯგუფების შექმნა ევროპის სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ამ გზას რომ დავადგეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელი ავიღოთ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ამოცანებზე. ამ გზით რომ ვიაროთ, ეს იმას ნიშნავს, რომ დავადგეთ ევროპაში ახალი ომის მომზადების გზას; რასაც მოჰყვება მესამე მსოფლიო ომი.

მართალია თუ არა, რომ საფრანგეთი, იტალია, ბელგია და მათთან დაკავშირებული ევროპის ქვეყნები უშიშროების ინტერესებისათვის იძულებული არიან ამ გზით იარონ? ნამდვილად საჭიროა თუ არა შეიქმნას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, ხოლო მასთან ერთად მოხდეს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი უშიშროება და მშვიდობა ევროპაში?

ამ უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით საფრანგეთში, არაერთხელ უკითხავთ, არის თუ არა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ალტერნატივა, ესე იგი, რით შეიძლება შეიცვალოს ეს ყბადაღებული „გაერთიანება“ და შეიძლება თუ არა უზრუნველყოფილ იქნას ევროპის მშვიდობა და უშიშროება ისე, რომ არ შეიქმნას „ევროპის არმია“, რომელიც დაეყრდნობა დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინებას. თუმცა არაერთხელ დასმულა ეს კითხვები, მაგრამ ეს ჩვეულებრივ იმისათვის ხდებოდა, რომ არაპირდაპირ გაემართლებინათ გეგმები, რომლებსაც ითვალისწინებენ პარიზისა და ბონის ხელშეკრულებანი.

ბერლინის თათბირზე საბჭოთა კავშირმა ევროპის სახელმწიფოების სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის გეგმებს დაუპირისპირა კონკრეტული გეგმა, რომლის თანახმად მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა ევროპის ყველა ქვეყნისათვის მტკიცე ნიადაგზე იქნებოდა დაყენებული. ამ გეგმამ გამოხატულება ჰპოვა „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ საბჭოთა პროექტით.

„სრულიად ევროპის ხელშეკრულება“ ითვალისწინებს შესაბამის გარანტიებს ევროპაში აგრესიის წინააღმდეგ და მშვიდობის დარღვევის წინააღმდეგ. ამ ხელშეკრულების მონაწილე შეიძლება იყოს ევროპის ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. გერმანიის ერთიანობის აღდგენამდე ამ ხელშეკრულების მონაწილე შეიძლება ყოფილიყო როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკაც, ხოლო გერმანიის სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენის შემდეგ — გაერთიანებული გერმანია. რომელიმე მონაწილეზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომ ამ ხელშეკრულების სხვა მონაწილენი დაეხმარებიან ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით, მათ შორის გამოიყენებენ შეიარაღებულ ძალებს, რათა აღადგინონ და დაიცვან საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება ევროპაში.

ამასთანავე საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ უკვე ახლა გერმანიის მდგომარეობის მნიშვნელოვან შემსუბუქებას, მათ შორის მთელი გერმანიის ტერიტორიიდან ოთხი სახელმწიფოს მოკავშირეები ჯარების გაყვანას, გარდა ზუსტად განსაზღვრული კონტინგენტებისა.

საბჭოთა წინადადებების მიზანია, რომ ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ ევროპის სახელმწიფოების სამხედრო დაჯგუფებათა ნაცვლად შეიქმნას ევროპის კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემა.

1947 წლიდან არსებობს ამერიკის სახელმწიფოთა რეგიონალური ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ, რომლის მონაწილენი არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკის ყველა რესპუბლიკა. ამგვარ რეგიონალურ შეთანხმებებს, თუ უზრუნველყოფილი იქნება მათი მტკიცე თავდაცვითი ხასიათი, შეიძლება დადებითი მნიშვნელობა ჰქონდეთ, თუმცა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება კანონიერად ვცნოთ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ცდები — გამოიყენონ აღნიშნული ხელშეკრულება თავიანთი ვიწრო ინტერესებისათვის კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით. პასუხი გასცა რა მოსაზრებებს „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, საბჭოთა დელეგაცია აღნიშნავდა, თუ რამდენად უსაფუძვლოა ეს მოსაზრებანი, როცა ისინი მიმართულია ევროპის რეგიონალური ხელშეკრულების წინააღმდეგ. ასეთი ხელშეკრულება, რომელსაც ნამდვილად თავდაცვითი ხასიათი აქვს, სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსაც.

ბერლინის თათბირზე არაერთხელ ითქვა, რომ ახლანდელი მსოფლიო გათიშულია, რომ ახლა არიან ქვეყნები სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილებით. თავისთავად იგულისხმება, რომ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ამ ფაქტს, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ აგრეთვე მთელი რიგი სხვა სახელმწიფოები დაადგნენ სოციალიზმისა და სახალხო დემოკრატიის გზას და წარმატებით მიდიან წინ ამ გზით.

ეს ჩვენ მიგვაჩნია XX საუკუნის უდიდეს მიღწევად. ჩვენ არ ვაპირებთ იმ ფაქტის უარყოფას, რომ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი ახლა აერთიანებს სახელმწიფოებს, სადაც 800 მილიონი კაცი ცხოვრობს. ამ დემოკრატიული ბანაკის ძალების ზრდა აშკარა და, მართლაც, ბევრ რამეში საგულისხმოა.

მაგრამ ჩვენ თანმიმდევრულად ვიცავთ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანაარსებობის ლენინურ პრინციპს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ, მიუხედავად საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა, მაგალითად, ევრობის ქვეყნებში, ევროპის ყველა ხალხი დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებითა და განმტკიცებით. ჩვენ იმას ვესწრაფვით, რომ მშვიდობის დაცვის საკითხში არ იყოს ორი ბანაკი, როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში. ჩვენ მოვუწოდებთ ევროპის ყველა სახელმწიფოს **უარი თქვან სამხედრო დაჯგუფებათა შექმნაზე,** რომლებიც ერთიმეორის წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან ასეთ დაჯგუფებათა შექმნა აუცილებლად ომს გამოიწვევს. ამის ნაცვლად ჩვენი წინადადებაა **შეიქმნას ერთიანი ბანაკი ევროპის ყველა სახელმწიფოსი,** რომელთა მიზანი იქნება საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფა და ევროპის მშვიდობის განმტკიცება. ევროპის უშიშროების ამ სისტემაში არც ერთ, თუნდაც ძლიერ, სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს გაბატონებული მდგომარეობა. კოლექტიური უშიშროების ამ სისტემის ყველა და ყოველი მონაწილის სუვერენიტეტი უზრუნველყოფილ და დაცულ უნდა იქნას გარედან ხელყოფისაგან. ამ საფუძვლებზეა აგებული „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ პროექტი.

ამ პროექტს მხარი არ დაუჭირეს საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრებმა. მაგრამ ვერც ერთი მინისტრი ვერ უარყოფს ევროპის ხალხთა კოლექტიური უშიშროების იდეას. ეს იდეა გასაგებია ხალხებისათვის. მას თანაუგრძნობს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი.

ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების იდეა სულ ახალ გზებს გიკაფავს მილიონობით ადამიანის გულისაკენ, და ეს უტყუარ სამსახურს გაუწევს ევროპისა და მასთან ერთად მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. ამასთან საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს იმას, რომ საზავო ხელშეკრულების დადებამდე დაშვებულ არ იქნას გერმანიის შეიარაღებული ძალების შექმნა, რაც იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ამ პერიოდში განხორციელდეს გერმანიის ნეიტრალიზაცია.

ამა თუ იმ მინისტრს, რა თქმა უნდა, შეუძლია კვლავაც შეადგინოს ყოველგვარი გეგმა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნისა და დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის შესახებ, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვა, გარდა კიდევ ერთი არასაიმედო სამხედრო დაჯგუფებისა, რომელიც მოკლებული იქნება ხალხების მხარდაჭერას. სხვა საქმეა ევროპის ხალხთა კოლექტიური უშიშროების იდეა, რომელიც გამოხატულია სრულიად ევროპის ხელშეკრულებაში ან შეიძლება მიიღოს რაიმე სხვა ფორმა. ეს იდეა სულ უფრო მეტ თანაგრძნობას პოულობს ევროპის ხალხებში, იმიტომ რომ იგი გამოხატავს მშვიდობის განმტკიცებისადმი, საყოველთაო უშიშროების დამყარებისადმი უდიდეს მისწრაფებას.

საბჭოთა მთავრობას არასოდეს არ დაუმალავს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტისადმი, რომელიც გამოხატავს ინგლის-ამერიკის ბლოკის მისწრაფებას მსოფლიო ბატონობისადმი. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის ცდები, რომლებიც შეიცავს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისათვის პირდაპირ ხელის შეწყობას, ბევრად ამრავლებს არსებულ უთანხმოებას. საბჭოთა მთავრობა ამ უთანხმოებათა გამრავლების წინააღმდეგია. ჩვენ ვესწრაფვით სადავო საკითხების მოწესრიგებას მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ცხადი ხდება, რომ საბჭოთა კავშირი გამოხატავს ევროპის, და არა მარტო ევროპის, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის გრძნობებსა და ფიქრებს.

ბერლინის თათბირზე გერმანიის საკითხის განხილვამ ცხადყო, რომ აქ უთანხმოება საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის სამ სახელმწიფოს შორის უწინარეს ყოვლისა არის გერმანიის მილიტარიზმის საკითხში, რამდენადაც არსებობს მისი აღდგენის გეგმები. საბჭოთა კავშირს, რომელმაც გადაიტანა ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სიმძიმე, არ შეუძლია ჯეროვნად არ შეაფასოს ახალი აგრესიის საფრთხე, თუ აღორძინდება გერმანიის მილიტარიზმი.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის მზარდ საფრთხეს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ავსტრიის საკითხზეც.

ბერლინის თათბირზე გამოირკვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი მზად არიან მოხსნან თავიანთი მოსაზრებანი ავსტრიასთან ხელშეკრულების პროექტის იმ მუხლების შესახებ, რომელთა წინააღმდეგი ისინი იყვნენ წინა ხუთი წლის მანძილზე. ამან საკმაოდ დაადასტურა ის ფაქტი, თუ რამდენად უსაფუძვლო იყო მათი წინანდელი დავა.

საბჭოთა კავშირის მხარემ ბერლინის თათბირზე განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი ავსტრიის ხელშეკრულებას, თუ მიღებულ იქნება ორი წინადადება, რომელთა საჭიროებასაც იწვევს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის შესახებ პარიზის შეთანხმების ხელმოწერის ფაქტი.

აი ეს ორი წინადადება.

ჯერ ერთი, ჩვენ წინადადება შევიტანეთ, რომ ავსტრიას ეკისრა ვალდებულება, რომ არ მიიღებს მონაწილეობას რაიმე სამხედრო დაჯგუფებაში სხვა იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელნიც მონაწილეობდნენ ომში ჰიტლერიზმის წინააღმდეგ და ავსტრიის განთავისუფლებაში, და რომ ავსტრიის ტერიტორია გამოყენებულ არ იქნას უცხოეთის სამხედრო ბაზების შესაქმნელად.

მეორე, ჩვენ მტკიცედ მოვითხოვეთ, რომ ავსტრიის ხელშეკრულებაში შეტანილი ყოფილიყო შენიშვნა, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაყოვნების გამო იქმნება შესაძლებლობა დარჩეს ავსტრიაში მის ტერიტორიაზე ამჟამად მყოფი უცხო სამხედრო ნაწილები ოთხი სახელმწიფოსი და რომ ავსტრიის ტერიტორიიდან ოთხი სახელმწიფოს სამხედრო ნაწილების გაყვანის ვადის საკითხი კვლავ განხილულ იქნება არაუგვიანეს 1955 წლისა. რომ არ არსებობდეს „ევროპის არმიის“ შექმნის გეგმები, ეს უკანასკნელი შენიშვნა საჭირო არ იქნებოდა. ეს შენიშვნა საჭირო გახდა, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ახლა ახორციელებენ ზეგავლენის ყოველგვარ ღონისძიებას, რათა საფრანგეთი და სხვა ქვეყნები დათანხმდნენ დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენაზე, რაც, რა თქმა უნდა, აძლიერებს ავსტრიის ახალი აწმლუსის (შეერთების) საფრთხეს.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები არ დაეთანხმნენ საბჭოთა კავშირის წინადადებას ავსტრიის ხელშეკრულებაში ამ ორი დამატების შეტანის შესახებ. ამით მათ ხელი შეუშალეს ავსტრიის მთავრობასაც სათანადო გაგებით მოჰკიდებოდა ამ წინადადებებს. ამის შედეგად ავსტრიის ხელშეკრულება არ იქნა ხელმოწერილი.

მოყვანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ ავსტრიის ხელშეკრულების ხელმოწერის ჩაშლისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს, რომლებსაც არა სურთ უარი თქვან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების გეგმებზე, რაც აძლიერებს ავსტრიის ახალი აწმლუსის საფრთხეს.

ცდები, რომლებსაც ახლა ოფიციალური პირები მიმართავენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და საფრანგეთში, აგრეთვე ავსტრიაში, რომ ავსტრიის ხელშეკრულების ხელმოუწერლობა გადააბრალონ საბჭოთა კავშირს, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ახლანდელ პირობებში საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საფრთხეს და ავსტრიის აწმლუსის ახალ საფრთხეს, რის დაუშვებლობაც სპეციალურად არის გათვალისწინებული ავსტრიის ხელშეკრულებაში. საბჭოთა კავშირი აცხადებს, რომ მზად არის ხელი მოაწეროს ავსტრიასთან ხელშეკრულებას, როგორც კი მიღებულ იქნება თანხმობა ზემოაღნიშნულ წინადადებებზე, რომლებიც შეესაბამება თვით ავსტრიელი ხალხის ინტერესებს, ისევე როგორც ევროპის ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს.

III

გერმანიისა და ავსტრიის საკითხებს გარდა, ბერლინის თათბირმა განიხილა საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა საკითხი, რასაც ითვალისწინებდა დღის წესრიგის პირველი პუნქტი. ამ საკითხის განხილვას უეჭველად ჰქონდა თავისი მნიშვნელობა.

ბერლინის თათბირს სულ 27 სხდომა ჰქონდა. ამ რიცხვში შედის დახურული ხასიათის 6 სხდომა მონაწილეთა ვიწრო შემადგენლობით, სადაც უმთავრესად განიხილავდნენ საკითხებს, რომლებიც ეხებოდა დღის წესრიგის 1-ლ პუნქტს.

ამ განხილვის შედეგად მინისტრებმა შეათანხმეს ორი გადაწყვეტილება.

როგორც ცნობილია, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობები ხელს შეუწყობენ განიარაღების პრობლემის წარმატებით გადაჭრას ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეიარაღების მნიშვნელოვან შემცირებას. ეს შეთანხმება მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა საბჭოთა დელეგაციას. იქ ასახული არ არის ჩვენი წინადადება, რომ წელს მოწვეულ იქნას მსოფლიო კონფერენცია შეიარაღების საყოველთაო შემცირების შესახებ. მიუხედავად ამისა, ეს შეთანხმება გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ოთხი სახელმწიფოს მთავრობებს. იგი მიმართულია გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. იგი ვალდებულებას აკისრებს ხელი შეუწყოთ უკიდურეს შემთხვევაში შეიარაღების მნიშვნელოვან შემცირებას, რასაც ყოველთვის მტკიცედ მოითხოვდა საბჭოთა კავშირი.

მიღწეულ იქნა აგრეთვე შეთანხმება, რომ 1954 წლის 26 აპრილს მოწვეულ იქნას თათბირი ჟენევაში. ეს იქნება სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა თათბირი კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კორეის რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და ის სხვა ქვეყნები, რომელთა შეიარაღებული ძალებიც მონაწილეობდნენ კორეის საომარ მოქმედებაში და რომლებიც მოისურვებენ დაესწრონ, და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის შესახებ — აგრეთვე ამით დაინტერესებულ სახელმწიფოთა მონაწილეობით.

ამრიგად, 26 აპრილს ჟენევაში გაიმართება თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ხუთი დიდი სახელმწიფო, აზიის მდგომარეობის ორ ყველაზე მწვავე საკითხზე: კორეის საკითხზე და ინდოჩინეთის მდგომარეობის საკითხზე. ამით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავის კანონიერ ადგილს დაიკავებს თათბირზე სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად.

ბერლინის თათბირზე მიღწეული ამ შეთანხმების მნიშვნელობა ახლა ჯერ კიდევ არ შეიძლება მთლიანად შეფასდეს. მაგრამ ამ შეთანხმებამ შეიძლება ხელი შეუწყოს აზიის ორი დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას, რაც დაეხმარება საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას.

კორეის საკითხის გადაჭრაში უძლური აღმოჩნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, რომელიც აქაც ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით მოქმედებდა. ამერიკის შეერთებული შტატების ამ ზეგავლენამ გენერალური ასამბლეა მიიყვანა არასწორ გადაწყვეტილებამდე, რომლებმაც ჩაშალეს პოლიტიკური კონფერენციის მოწვევა კორეის საკითხზე. ამავე მიმართულებით მოქმედებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები პანმინჯონის მოლაპარაკებაზე.

ბერლინის თათბირმა ხელი შეუწყო ამ კვანძის გახსნას. ახლა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები, კორეის ორივე ნაწილის წარმომადგენლებთან ერთად, შეძლებენ განიხილონ კორეის საკითხის საბოლოო მოწესრიგების საკითხი. ამოცანა ის არის, რომ ხელი შევუწყოთ კორეის ეროვნულ გაერთიანებას დემოკრატიულ საწყისებზე და კორეის გადასვლას დაზავებიდან მტკიცე მშვიდობაზე.

ბერლინის თათბირზე საფრანგეთის წარმომადგენელმა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინა ინდოჩინეთის საკითხის მიმართ. აქ საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა ჩიხში მოექცა, წაადგა რა ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას, რომელიც იცავს მშვიდობისა და ეროვნული თავისუფლების უფლებებს. ამასთან ერთად, მან აუტანელი ტვირთი დააკისრა ფრანგ ხალხს, რადგან მოითხოვს მისგან სულ ახალ და ამასთან უმიზნო მსხვერპლს.

ჟენევის თათბირის წინაშე დაისახება რთული ამოცანა — უზრუნველყოს ინდოჩინეთის ხალხთა მშვიდობისა და ეროვნული უფლებების აღდგენა. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია საფრანგეთის მთავრობის პოზიციაზე, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაზე, რომლებიც სულ უფრო აძლიერებენ ინდოჩინეთის საქმეებში ჩარევას. მთავარი კი დამოკიდებული იქნება იმაზე, რომ თათბირის ყველა მონაწილემ აღიაროს, რომ საჭიროა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხი გადაიჭრას არა უმეტესი ომის განგრძობის გზით, არამედ შეთანხმების გზით, რომელიც შეესაბამება ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პრინციპებს.

* * *

ახლა ფართოდ განიხილავენ ბერლინის თათბირის შედეგებს. ბევრ ქვეყანაში ამ საკითხზე გამოდიან სხვადასხვა მიმართულების ოფიციალური წარმომადგენლები და პრესა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამ დღეებში ლაპარაკობდა ბერლინის თათბირის მნიშვნელობაზე და, განსაკუთრებით, იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება შეთანხმებას ახალი თათბირის მოწვევის შესახებ ჟენევაში, სადაც განხილულ იქნება ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხი. მოვლენების მსვლელობა ცხადყოფს, თუ რამდენად აქტუალური გახდა ამ პრობლემის გადაჭრა.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი წარსულ კვირაში გამოვიდა თემთა პალატაში და მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა ბერლინის თათბირის შესახებ, მაგრამ, ამასთან ერთად, აღიარა, რომ ეს თათბირი „სავსებით მიზანშეწონილი იყო“. მან დასძინა, რომ „თათბირმა, უეჭველია, არ გააძლიერა საერთაშორისო დაძაბულობა“. მის განცხადებაში ჩანს უკმაყოფილება იმით, რომ არ გამართულა ზოგიერთი ვარაუდი, რომლებსაც უკავშირებდნენ სსრ კავშირზე ზეგავლენის ცდებს.

აგრეთვე ცნობილია, რომ შეერთებულ შტატებში ცალ